

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ანა ჯიქია

„საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობა და მისი
განზოგადებული სტრუქტურა საერთაშორისო პროექტების
მართვაში“

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი 02

თბილისი

2019წ

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: -----

რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის ”-----” -----, ----- საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის -----

----- სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე

კორპუსი -----, აუდიტორია -----

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი -----

Resume

The research of the effectiveness of communication systems and its general structure involves the vision of the project and the clear goals set out in order to present a clear picture of how to achieve strategic priorities of project management, for which project management principles are implemented. The possibilities. Vision means a more efficient and effective business sector that provides integrated, secure and high quality services, from which the improved use of these services and participation in the processes contributes to the sustainable economic growth of information-communication technologies. Project management software is a set of required software tools and is intended for the purpose of accomplishing the goals in optimal terms, which is based on total activity. The software complex refers to all the stages of the project implementation process, starting from evaluation and planning, ending with human resources management.

As a result of research in the research, it is decided to provide safe and effective e-services with reliable infrastructure using the principle of quick access to business and any economic sector; Project management structures continually renew the service demand and consumption growth process - by delivering high quality, effective, efficient, reliable and secure services; In the management process, the development of electronic services should be developed in an open and transparent environment, according to technological and technological needs; Based on business activities, the basis for sustainable interoperability should be made for safe and reliable sources to exchange information, share information systems and technologies; Ensure a competitive and innovative business environment, development of entrepreneurship and partnership in civil society.

Based on this vision, the priorities of the study topics are outlined in the following areas:

International Project Management business technologies field-zone services, information and communication technologies in the field of high competence and reputation, promoting the use of ICT facilities and structures that shape the business environment and the development of the strategy, culture and governance nobierebis raise, the immediate goal is inclusion and the priorities of economic development of the State according to the plan.

The work outlines these priorities and how they are involved in the overall strategy of development of Georgian economy and business environment in the form of projects and initiatives. The structure and analysis activities of the structure are essential for successful implementation of the projects. In the context of global competition, each project objective requires an optimally organized process for ascending development, for which the possibility of reviewing the new perspective in the international project management strategy is discussed. It is also important to respond quickly and correctly to the change of environmental conditions, for which there should be a uniform basis for the purposeful action. The basis for such information is to use information-communication formalized methods that enable them to more precisely determine the goals and plan of action, project risks, existing resources, monitor the implementation of the compiled plan, analyze the actual data in order to use the information ATS project management.

Effective management of the communication system in modern conditions is an important resource of any project to be implemented with financial, material, human and other resources. Therefore, based on communication systems, increasing efficiency of management activity is one of the ways to improve activities in the projects to be fully implemented. Any activity in the project should be successful, necessary and appropriate for complete informatization (obtaining, processing,

exchange, use, forwarding, support, etc.), as well as solving tasks in the project are related to how difficult it is to deal with the difficulties arising out of communicating and Specificity or. In general, project management is distinguished with complexity and diversity, a large number of forms and types, multilateral connections with different events and processes. This, in itself, requires creative and intellectual approaches.

Based on the above, the research and approaches conducted in the paper are very relevant for modern Georgia and are based on the purpose of studying the efficiency of communication systems,

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. თანამედროვე ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს პირობებში შეუძლებელია ნებისმიერი სექტორის ეფექტიანი ფუნქციონირება უახლესი ტექნიკის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების, ტექნოლოგიების ათვისების, გამოყენებისა და მზარდი პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. მასზეა დამოკიდებული ბიზნეს ინტერესების ზრდა და სახელმწიფოებრივად მომგებიანი პროექტების განხორციელება.

ბიზნეს პროექტების მართვის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობაა, რაც ციფრული დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია და ემსახურება როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ ეკონომიკურ ინტერესებს. სპეციალისტების აზრით, პროექტების მართვაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების (ისს) ეფექტიანად გამოყენებას ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია: მას შეუძლია მმართველობა გახადოს გაცილებით უფრო რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და ამასთან გაცილებით უფრო ეკონომიური; დაზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები; მისი მეშვეობით გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნება სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, რეგიონებთან, ბიზნეს სექტორთან, სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. მას შეუძლია მნიშვნელოვნად გააადვილოს და დააჩქაროს საქმის წარმოება და მომსახურება.

ეკონომიკისა და ბიზნესტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობებით, რასაც საკომუნიკაციო სისტემების ჩართულობა გულისხმობს. მისი გაგება გაცილებით ფართოა და უკავშირდება პროექტების განხორციელების სფეროებს, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო პროექტებით დაინტერესებული ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. მმართველი სტრუქტურების ფუნქციას წარმოადგენს საპროექტო საქმიანობის სტიმულირება საჯარო,

კერძო და სამოქალაქო სექტორებში, ეკონომიკური და მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად, რაშიც, მიზნის მიღწევის საქმეში, დიდ როლს ასრულებს საკომუნიკაციო სისტემები და მათი ეფექტური ფუნქციონირება.

საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცილებელია ამომწურავად და ლოგიკურად გაანალიზდეს მისი ფიზიკური და სივრცული სიდიდე, რაც თავისთავად დაკავშირებულია არსებული ჭარბი ინფორმაციის მოწესრიგების პრობლემასთან და ოპერატიული ინფორმაციის ფლობის ხარისხთან. საკომუნიკაციო სისტემების ეფექტური მართვისთვის, გარდა რიგი სხვადასხვა სახის მულტიფუნქციონალური ოპერაციების ავტომატიზაციის უცილებლობისა, მნიშვნელოვანია ამ ფუნქციონალური ოპერაციების შემსრულებლების ოპტიმალური მართვის ორგანიზება, რაც თავისთავად პროექტების შესრულებისას გამოვლინდება.

პროექტების მართვისას აუცილებელი ხდება საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნქციონალური სისტემატიზაცია, სტრუქტურისა და გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი მექანიზმების დამუშავება, რაც უზრუნველყოფს პროექტის სტრუქტურული ელემენტების, ურთიერთდამოკიდებული იერარქიული პოზიციების განსაზღვრას და რესურსების გამოყენებას, თვისობრივი პარამეტრების საფუძველზე კონკრეტული ოპერაციების შესრულებისათვის მიზნობრივი მოტივაციის გამოკვეთას, შესაბამისი საპროექტო რესურსების ჭარბი სიმრავლიდან კონკრეტულის შერჩევას და კომპლექსურ გაანალიზებას რაც თემას განსაკუთრებულ აქტუალურობას სძენს.

კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები. ნაშრომში კვლევის მიზანია საერთაშორისო პროექტების მართვაში საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობის ჩვენება და მისი განზოგადებული სტრუქტურის ფორმირება-შემუშავება. ნაშრომი მოიცავს ხედვას და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მიზნებს, რათა წარმოადგინოს ნათელი სურათი, თუ რისი მიღწევა შეუძლია ის-ს პროექტების მართვის სტრატეგიული

პრიორიტეტების ურთიერთშეთანხმების მეშვეობით. აღნიშნული პრიორიტეტებისთვის უზრუნველყოფილია პროექტის მართვის პრინციპები და განხორციელების შესაძლებლობები. ერთერთ ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენს პროექტის მართვის პროგრამული შესაძლებლობა პროგრამული ინსტრუმენტების ნაკრების სახით, რაც უზრუნველყოფს პროექტების ხარისხიან, ეფექტიან მართვა-განხორციელებას და შესაბამისად საზოგადოების დინამიურ, სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ განვითარებას.

ხედვა გულისხმობს უფრო ეფექტურ და ეფექტიან ბიზნეს სექტორის ფორმირებას, რომელიც გთავაზობს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სერვისებს. ამ სერვისების გაუმჯობესებული გამოყენება და პროცესებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ, მდგრად ეკონომიკურ ზრდას.

კვლევის შედეგებზე გასვლა მოითხოვს ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას:

- ბიზნესისა და ნებისმიერი ეკონომიკური სექტორისთვის მოხდეს სწრაფი, ხელმისაწვდომობის პრინციპით მოქმედი უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტრონული სერვისების მიწოდება, სანდო ინფრასტრუქტურის გამოყენებით.
- მართვის პროცესში მოხდეს ის-ს მაღალტექნოლოგიური სერვისების გამოყენების ხელშეწყობა ღია და გამჭვირვალე გარემოში შესაბამისი საჭიროების მიხედვით.
- ბიზნეს-საქმიანობიდან გამომდინარე შეიქმნას მდგრადი ურთიერთთავსებადობის საფუძველი უსაფრთხო და სანდო წყაროებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის გაცვლა, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების გაზიარება;
- ხელი შეეწყოს კონკურენტულ და ინოვაციურ ბიზნეს გარემოს ფორმირებას, რაც გულისხმობს მეწარმეობის განვითარებას და პარტნიორობას სამოქალაქო საზოგადოებაში, საჯარო და კერძო

სექტორების აქტივობებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართ.

- სპეციფიკური (დარგობრივი) პროექტების განხორციელებისთვის, (როგორცაა სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება და თავდაცვა,) შემუშავდეს ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კიბერთავდასხმებისგან დაცვას.

კვლევის საგანს წარმოადგენს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების განზოგადოებული სტრუქტურის შემუშავებისა და ზოგადად ამ სისტემების ეფექტიანობის დადგენის მექანიზმი საერთაშორისო პროექტების მართვაში, **კვლევის ობიექტია**-საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე საერთაშორისო პროექტები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო შრომები, მათი სამეცნიერო-პრაქტიკული გამოცდილება და შედეგები.

საერთაშორისო პროექტების მართვაში საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობის შეფასების მიზნით განხორციელდა თვისობრივი კვლევა-ანკეტური გამოკითხვის მეთოდით, გამოყენებულ იქნა საექსპერტო გამოკვლევის ტექნიკა, რომლის თოთოეული ეტაპი შედგება მოსამზადებელი, ტესტირების, ძირითადი კვლევის, მონაცემების დამუშავების და ანალიზის ეტაპებისგან.(მე-2, მე-3 თავი)

ნაშრომი შესრულებულია შემეცნების ზოგად მეთოდებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს საკვლევი ობიექტისადმი კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას. (პირველი, მე-2 თავი)

კვლევის ზოგად მეცნიერულ მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია: სისტემური ანალიზის, ანალოგიების, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგის, ანალიზის, განზოგადოების მეთოდები. შედგენილ იქნა კითხვარი-ანკეტა, მიღებული შედეგები დამუშავდა და გაანალიზდა საყოველთაოდ მიღებულ სამომხმარებლო პროგრამებით (GOOGLE-DRIVE და Microsoft Excel) (პირველი, მე-2, მე-3 თავი).

პროექტების მართვის თანამედროვე მიდგომები, სადაც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების ეფექტიანობაზეა საუბარი, გვერდს ვერ აუვლის კერძოდან ზოგადისაკენ დასკვნების აკუმულირებას და ასევე გამოცდილებაზე დამყარებულ სისტემურ მიდგომებს, კვლევის ანალიზის **მეთოდად** გამოყენებულია აგრეთვე სისტემატიზაციის და სინთეზირების მეთოდები (პირველი, მე-2, მე-3 თავები), რომელიც თავის მხრივ განიხილება დინამიკაში და თანხვედრაშია ეკონომიკურ კატეგორიებთან და მენეჯმენტის ანალიზთან. აქვე, დავძენთ, რომ თანამედროვე პროექტის მართვა გამოირჩევა სირთულითა და მრავალფეროვნებით, ფორმებისა და სახეების დიდი რაოდენობით, მრავალმხრივი კავშირებით სხვადასხვა მოვლენაბთან და პროცესებთან. ეს, კი თავის მხრივ მოითხოვს შემოქმედებითი და ინტელექტუალური მიდგომების ფართოდ გამოყენებას. (პირველი, მე-2, მე-3 თავი)

გლობალური კონკურენციის პირობებში განვითარებისათვის ყოველი საპროექტო ამოცანის გადაჭრა გულისხმობს ოპტიმალურად ორგანიზებული პროცესის კონსტრუირებას, გარემო პირობების ცვლილებაზე სწრაფ და სწორ რეაგირებას, რისთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი ერთიანი საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს მიზანმიმართულ მოქმედებას. ასეთ საფუძველს წარმოადგებს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ფორმალიზებული მეთოდების გამოყენება პროექტების მართვისას, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად განისაზღვროს მიზნები და ოპტიმალურად დაიგეგმოს მოქმედების სქემა, გათვალისწინებულ იქნეს საპროექტო რისკები, შესაბამისად გამოიყენულ იქნეს არსებული რესურსები, გაკონტროლდეს გეგმის შესრულება, გაანალიზდეს ფაქტიური მონაცემები, რათა დაგროვილი გამოცდილება შემდეგში გამოიყენებულ იქნეს მსგავსი პროექტების მართვისას.

ნაშრომი ასახავს:

- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენების პრიორიტეტებს საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე

საერთაშორისო პროექტებში და შესაბამისად ეკონომიკის და ბიზნესგარემოს განვითარების მთლიან სტრატეგიაში.

- პრიორიტეტებიდან გამომდინარე ინიციატივების და სტანდარტების დადგენის აქტივობებს, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული პროექტების ეფექტიანი და წარმატებული განხორციელებისთვის.

საერთაშორისო პროექტების მართვის სტრატეგიის ხედვაში სწორედ ეს მიდგომა შემდეგნაირად განისაზღვრება:

- „საქართველოში შეიქმნება უფრო ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სივრცე, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის სერვისებს საკომუნიკაციო სისტემების უშუალო დახმარებით.

- გაუმჯობესდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენება და მონაწილეობა ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე-სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები, გამოირჩევა სირთულითა და მრავალფეროვნებით, ფორმებისა და სახეების დიდი რაოდენობით, მრავალმხრივი კავშირებით სხვადასხვა მოვლენაბთან და პროცესებთან. შესაბამისად, საკვლევი მასალის თეორიული, შემოქმედებითი და ინტელექტუალური მიდგომების მობილიზაციისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე, სადისერტაციო ნაშრომში მიღებული გვაქვს რიგი სიახლეებისა:

***გამოვლენილია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მდგრადი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა, რომლის სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირის საშუალო და გრძელვადიან გამოწვევებს საერთაშორისო პროექტების მმართველობასთან მიმართებაში და მაქსიმალურად არის შესაბამისობაში მოყვანილი „ელექტრონული ევროპა 2020“ სტრატეგიულ დოკუმენტთან.

*** სინთეზირების გზით პირველად არის დამუშავებული საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობის მახასიათებლებისა და განზოგადოებული სტრუქტურის კომპლექსური ინსტრუმენტი,

რომელიც პროექტების დაგეგმვის, შესრულების, კონტროლის, შედეგების ანალიზის და ხარჯების კონკრეტულ საპროექტო დავალებებზე გადანაწილების მონიტორინგის საშუალებას იძლევა.

*** კვლევის შედეგად შემუშავებულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებითი სივრცე, რომელიც ქმნის კომპლექსურ ფუნქციონალურ გარემოს და საშუალებას აძლევს მენეჯმენტს მართოს პროექტი, საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად.

*** მიღებულია ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირების მექანიზმი, რომელთა გამოყენება დასაშვები, მისაღები და წარმატებით ფორმულირებადია ისეთი საპროექტო ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმალურად ორგანიზებულ პროცესში, რომელიც შეძლებს გლობალური კონკურენციის პირობებში განვითარებას.

*** თვისობრივი კვლევის საფუძველზე შეფასებულია საქართველოში განხორციელებულ პრექტებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობა.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. საკვალიფიკაციო თემის მეცნიერული დამუშავებითა და აქტუალობის ჩვენებით ნაშრომი მეტად დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს, რადგან საკომუნიკაციო სისტემები თავისთავად არის ის ძირითადი გასაღები ელექტრონულ და ვერბალურ კომუნიკაციებში, რომლის გარეშე დღევანდელი მმართველობითი სტრუქტურები ვერ შეძლებდნენ დროსა და სივრცეში მნიშვნელოვანი პროექტების ეფექტიან განხორციელებას, დროულ და მოხერხებულ ელექტრონულ კომუნიკაციებს, ინფორმაციის დიდი მოცულობით ფლობას და გამოყენებას. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების სწრაფმა განვითარებამ, ტექნიკური პლატფორმის სრულყოფამ და პროგრამული პროდუქტების პრინციპულად ახალი კლასების გამოჩენამ პროექტების მართვის თვალსაზრისით მიდგომების შეცვლა გამოიწვია.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია საკომუნიკაციო სისტემების არსი, მნიშვნელობა და ფუნქციონალური შესაძლებლობები საერთაშორისო პროექტების მენეჯმენტში, წარმოდგენილია საერთაშორისო პროექტების მართვის ეფექტიანობისათვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების შერჩევისა და დანერგვის კრიტერიუმები, განხილულია გლობალური ბიზნეს-პროცესების სრულყოფა და განვითარება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით.


პროექტების მართვა ინდუსტრიის სხვადასხვა დარგებში ხორციელდება ერთი მიზნობრიობით-მართვის პროცესი წარიმართოს ეფექტიანად, რაც გულისხმობს დაგეგმვის, პერსონალის სწორად შერჩევის, ორგანიზების, მონიტორინგის და შეფასების განხორციელებას. გამომდინარე აქედან საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონალური და სერვისული შესაძლებლობების მიზნობრივი გამოყენება, წარმატების ძირითადი მსაზღვრელია და პროფესიონალი მენეჯერებისა და ტექნიკური პერსონალის ცოდნა-გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

პროექტების მართვის საინფორმაციო სისტემით უზრუნველყოფა მოიცავს პროექტში მიმდინარე პროცესების მოთხოვნილებათა განსაზღვრის, დიაგნოსტიკური ანალიზის, ბიზნეს-პროგრამების დაგეგმვის და პროექტირების, ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT)-სერვისების დადგენის, მათი განხორციელების ორგანიზების, ფაქტ-შედეგების აღრიცხვის, რისკების ანალიზის და შეფასების, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ობიექტზე ეფექტური ზემოქმედების მმართველი გადაწყვეტილების მიღების პროცესების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავებას და მათ კომპიუტერულ რეალიზაციას, მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემების აგების თანამედროვე კონცეფციების საფუძველზე, როგორებიცაა ITIL¹ და COBIT² სრულყოფილი

¹ Information Technology Infrastructure Library -ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ბიბლიოთეკა

² Control Objectives for Information and Related Technologies- ინფორმაციისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების კონტროლი

და საიმედო, მოქნილი პროგრამული უზრუნველყოფის (Software Engineering) სრულყოფილად და სწრაფად დაპროექტება-რეალიზაცია. დანერგვა და შემდგომი თანხლება სისტემის დამკვეთ ორგანიზაციაში მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა და მისი ეფექტურად გადაწყვეტა ბევრად და მოკიდებული როგორც საპროექტო, ისე შემოქმედებითი გუნდის შემადგენლობასა და გამოცდილებაზე, ასევე IT-ინფრასტრუქტურაზე, ინსტრუმენტებზე, კერძოდ, UML³ და Agile⁴




დიაგრ №1 პროექტების მართვაში საინფორმაციო სისტემის ჩართულობა

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ პროექტების მართვაში რგოლთაშორისი მმართველობითი სისტემური მიდგომის შესაბამისად აუცილებელია მონაცემები დამუშავდეს დიალოგურ რეჟიმში, რომელიც საჭიროა საქმიანობის ნაბიჯ-ნაბიჯ და თითოეული ფუნქციონალური ბიჯის

³ The Unified Modeling Language- ერთიანი მოდელირების ენა

⁴ სწრაფი (ზოგჯერ წერილობითი)- Manifesto for Agile Software Development .პროგრამული უზრუნველყოფა

დასაფიქსირებლად, რის საშუალებასაც TPS⁵- იძლევა დაგეგმილი შესასრულებელი სამუშაოს მართვის ექსპლუატაციურ დონეზე დროის მიხედვით.



დიაგრ №2 ბიჯების განსაზღვრა თითოეული საქმიანი რგოლისთვის.

ამ სისტემის გამოყენების საჭიროება მაშინაც დგება, როცა გასათვალისწინებელია შესასრულებელი სამუშაოს წინასწარ განსაზღვრული და მაღალ დონეზე ფორმალიზებული მიზნები. თუ პროექტების მართვაში საჭიროება მოითხოვს და შესაძლებელი იქნება ცოდნაზე ორიენტირებული სამუშაო სისტემების-KWS⁶ და საქმის წარმოების ავტომატიზაციის სისტემების-OAS⁷ გამოყენება, ისინი დახმარებას გაუწევენ დასმული საკითხების მიმართ საქმის წარმოების ავტომატიზაციას და მთლიანად მოიცავენ მონაცემთა დამუშავებას. DSS⁸-მმართველობას ეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებაში, ახდენენ მონაცემთა გაერთიანებას, ანალიზებენ რთულ ანალიტიკურ მოდელებს, შემდგომი გამოყენებისთვის ახდენენ მოსახერხებელ პროგრამულ უზრუნველყოფას ერთიან მძლავრ სისტემაში და ეხმარებიან სტრუქტურულ და სუსტ სტრუქტურულ გადაწყვეტილებებს

⁵ (Transaction Processing System- ტრანზაქციის პროცესის სისტემა)

⁶ Knowledge Work System-ცოდნაზე ორიენტირებული სამუშაო სისტემები)

⁷ Office Automation System-საქმის წარმოების ავტომატიზაციის სისტემები

⁸ Decision Support System; გმს გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერი სისტემები


ექსპლუატაციურ და მმართველობით დონეზე.



დიაგრამა №3 პროექტის სრულფასოვანი მართვისათვის ურთიერთდაკავშირებული სისტემური საშუალებები.


ეს სისტემები ერთმანეთთან და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და ქმნიან ერთიან სამომხმარებლო გარემოს, შეუძლიათ გაცვალონ ერთმანეთის მონაცემები, მაგრამ რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროექტების მართვის მიმდინარეობის პროცესში ან როგორ უნდა გაერთიანდეს ეს სისტემები, დამოკიდებულია პროექტის ბიუჯეტზე და შესაძლებლობებზე. უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ინტეგრაციის რომელიმე დონე, (რომელიც მოცემულია ფუნქციონალური დამოკიდებულების სქემაზე) რათა ინფორმაციამ ადვილად შეძლოს გადაადგილება პროექტის სხვადასხვა ქვე რგოლებს შორის, მარტივად გასაგები და განსახორციელებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემის დახმარებით მართოს პროექტის მიმდინარეობის შეუწყვეტელი პროცესი, აკონტროლოს მოსალოდნელი დამუშავებული პარამეტრები,

აკონტროლოს დროის მიხედვით პროექტის შესრულების მიმდინარეობა, განახორციელოს ხარჯების მართვის მეთოდოლოგია, გეგმისა და თვითღირებულების საფუძველზე გათვალისწინოს ხარჯების ნუსხა, უზრუნველყოს ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის ერთობლიობა.



დიაგრ №4 ფუნქციონალური დამოკიდებულების სტრუქტურა


პროექტების მართვაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საქმიანი გარემოს განვითარების შესაბამისად, აუცილებელი ხდება მართვის პროცესების მუდმივი სრულყოფა და რესტრუქტურირება რაც საფუძველს უქმნის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირების რეჟიმის ჩამოყალიბებას.



დიაგრ № 5 პროექტის მართვის საფუძველები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით


პროექტის მართვაში ის-ს რეალიზაციის მიზანს წარმოადგენს მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ორგანიზაციული მართვის სისტემის დატვირთვა, ადაპტირებულ იქნეს სერვის-ორიენტირებულ მიდგომაზე, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა საკონტაქტო საშუალებების გამოყენების ტრანსფორმაცია-შეტყობინებების რეჟიმზე და ა. შ.

მეორე თავში გააზრებული და დამუშავებულია მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განსაზღვრავენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების როლს მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირებისათვის, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენას ადამიანური კაპიტალის მართვაში. წარმოჩენილია ღრუბლოვანი ტექნოლოგიების როლი საერთაშორისო ბიზნეს პროექტების მართვაში, გამოკვეთილია საკომუნიკაციო სისტემების მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო პროექტების მართვის კონკურენტუნარიანობისა და მარკეტინგული უპირატესობის უზრუნველყოფის მექანიზმი, ნაჩვენებია საერთაშორისო პროექტების მართვაში რისკების მინიმიზაციის უზრუნველყოფის საშუალებები საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით.



დიაგრამა №6 პროექტების მართვის პროცედურის რეგლამენტირების საშუალება,


დიაგრამაზე მოცემულია პროექტის მართვის პროცესის რეგლამენტირების საშუალება, რომლის გამოყენებითაც საშუალება გვეძლევა ის-ს ფუნქციონალურ შესაძლებლობებში გავითვალისწინოთ ფუნქციებთან ისეთი შესაბამისობა, რომლებიც უკვე არსებობს ან მხოლოდ იგეგმება - რაც წარმოადგენს შეგვიქმნის ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე, კონკრეტულ საქმიანობასა და პროექტის ფორმალიზებულ აღწერაზე ის-ს ჩართულობით. დიაგრამაზე გამოკვეთილია ის-ს მთავარი უპირატესობების და ფუნქციონირების შესაძლებლობების სქემა რომელიც ნებისმიერი საქმიანობის პროცესში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა.



დიაგრ N#7 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების მთავარი უპირატესობები და ფუნქციონალური შესაძლებლობები პროექტების მართვაში.


ბიზნეს-პროცესების ფუნქციონირებისათვის და მისი განვითარების

სტრატეგიის შემუშავებისათვის დიდი როლი ენიჭება ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს-რაც ბიზნეს სექტორისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან სერვისს- რესურსების მოძიების, შეთავაზების, მონაცემთა გამოყენების, გადაწყვეტილების მიღების დაჩქარების, სწრაფდამუშავების თვალსაზრისით . მას შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკური სექტორის ფუნქციონირებაზე და ბიზნეს-პროცესების ადაპტირებული მართვის კონცეფციაზე. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები განხილულია ყველა რეალიზებულ ბიზნეს-პროცესებისათვის უწყვეტ კავშირში და მთავარი მოთხოვნები ბიზნეს-საქმიანობაში ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სერვისებზე მოცემულია დიაგრამა № 8



დიაგრ.№8 ბიზნეს-საქმიანობის მთავარი მოთხოვნები ინფოსაკომუნიკაციო სისტემებთან და ღრუბლოვანი ტექნოლოგიების სერვისებთან

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების როლი ბიზნესის სფეროში განიხილება ოთხი კრიტერიუმის შესაბამისად რაც დიაგრამის სახით გვაქვს მოცემული



დიაგ.№9 ღრუბლოვანი ტექნოლოგიების კრიტერიუმები

დიაგრამაზე ნაჩვენებია მარკეტინგული კომუნიკაციების საკითხის აქტუალიზირება ფაქტორების მიხედვით და გაანალიზებულია მარკეტინგული კომპლექსის თითოეული გაუმჯობესებული მიდგომა-იგი ასახავს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სესტემების შემცველობის, გაუმჯობესების, გამოყენების და მომხმარებელზე ზემოქმედების ხარისხს .

მესამე თავში ასახულია ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შემდეგი თანმიმდევრობით: პროექტების მართვაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასება ექსპერტული კვლევის საფუძველზე, საქართველოში ბიზნეს პროექტების განვითარების პერსპექტივები და შესაძლებლობები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. ნაჩვენებია რომ პროექტის ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით პარალელურად ეფუძნება ქვეყნის მმართველობით სტრატეგიას და ეფექტიანობის განზოგადებული სტრუქტურის შემუშავებაზე ბევრად არის დამოკიდებული-საქართველო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით აკმაყოფილებს თუ არა დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს.


საერთაშორისო კვლევების⁹ მასალებზე დაყრდნობით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მზადყოფნის ინდექსებმა, მომომსახურების ხარისხის შეფასების 5 დონიანმა ინდექსმა, ადამიანური რესურსების პოტენციალის 2 დონიანმა ინდექსმა კვლევების ანალიზში გვაჩვენა, რომ საქართველო, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და შესაბამისად მმართველობაში მისი გამოყენების თვალსაზრისით, განვითარების დაბალ საფეხურზეა, მაგრამ ქვეყანაში განხორციელებული საერთაშორისო პროექტები და სამომავლო ბიზნეს ინტერესები საკმაოდ ძლიერ პოზიციებზეა, რასაც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების და მათი გონებრივი შესაძლებლობების დიდი პოტენციალი. ეს თავისთავად დამოკიდებულია, იმ ინტერესების დაკმაყოფილებასა და მიზნის მიღწევაზე, რაც თან ახლავს პროექტების განხორციელებას და მის მომგებიანობას, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო სექტორების დონეზე.

საქართველოში განხორციელებული საერთაშორისო პროექტების ეფექტიანობის შესაფასებლად ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემების ჩართულობით, შერჩეულ იქნა ეფექტიანობის თვისობრივი შეფასების ექსპერტული მეთოდი, რომლის სისტემა წარმოადგენს ექსპერტების შეფასებაზე ბაზირებულ მთლიანი პროექტის სტრატეგიული შეფასების მექანიზმს. კვლევის სპეციფიკიდან და მიმართულებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პროექტების წარმატებით განხორციელებაზე.


ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემებისა და განზოგადებული სტრუქტურის ეფექტიანობის ექსპერტული შეფასებისათვის შერჩევითი ანკეტურ-ექსპერტული კვლევა ჩავატარეთ საქართველოში განხორციელებულ რამოდენიმე საერთაშორისო და მიმდინარე პროექტებში, პროექტების შესრულების ასპექტებზე დაკვირვებით,

⁹ გაეროს განვითარების პროგრამა ქვეყანა: საქართველო proeqtis dokumenti www.undp.org/content/dam/georgia/docs/prodocs/EE/UNDP_GE_EE_Minamata_prodoc_geo.pdf

ფუნქციონალური ვარიანტების გათვალისწინებით, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანობის სტრუქტურის მახასიათებლების სქემამ და შესაბამისად საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობის განზოგადებულმა სტრუქტურამ შემდეგი სახე მიიღო:



დიაგრ №10 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანობის სტრუქტურის მახასიათებლები



დიაგრ №11 საკომუნიკაციო სისტემების ეფექტიანობის განზოგადებული სტრუქტურა

საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად გადაწყდა კვლევის მიმართ დასმული ძირითადი ამოცანები,

მიღებულია მთელი რიგი სიახლეებისა და მიგნებებისა.

მიღებული ემპირიული მაჩვენებლების ანალიზისა და განზოგადების შედეგად, მიღებულია სათანადო დასკვნები:

- პროექტის მმართველობითი ერთიანი მიდგომის საფუძველს, რომელიც ორიენტირებულია მიზანზე, ცენტრალიზებული კომუნიკაციებისა და კოორდინაციის პრინციპი წარმოადგენს.
- პროექტის მართვის ცენტრალიზებული კომუნიკაციების მთავარ ფაქტორს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა და ცალკეული საინფორმაციო ქვესისტემების გაერთიანება წარმოადგენს, რაც სისტემაზე და მის არქიტექტურაზე საერთო შეხედულების ჩამოყალიბების, მისი განსაზღვრისა და აღწერისათვის საერთო მიდგომის შექმნის საშუალებას იძლევა.
- კომუნიკაციები გადამწყვეტ როლს ასრულებენ საერთაშორისო პროექტების განხორციელების პროცესში, ვინაიდან არასწორად გადაცემული ინფორმაცია აფერხებს საჭირო მოქმედებათა კოორდინაციას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პროექტის წარუმატებლობა, ხოლო მკაფიო სქემებისა და კომუნიკაციის არსებობა საშუალებას იძლევა თავიდან აცილებულ იქნას არასასურველი და კრიზისული სიტუაციები. შესაბამისად, ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება უზრუნველყოფს საპროექტო სამუშაოების კოორდინაციას, ოპერატიულ დაგეგმვას და ზოგადად პროექტის წარმატებით მართვას.
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელები წარმოადგენენ თანამედროვე ადამიანისა და საზოგადოების მნიშვნელოვან საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც კომპანიების მხრიდან გააზრებული გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია იქცეს რეალური კონკურენტული უპირატესობის მოპოვების-ადამიანური კაპიტალის მოძიების, დაქირავების, განვითარებისა და მართვის ეფექტურ ინოვაციურ ინსტრუმენტად, HR ბრენდის გაძლიერების, კორპორატიული კულტურის ფორმირება-ჩამოყალიბების,

პერსონალის სოციალური რეკრუიტინგის მაღალეფექტურ მექანიზმად.

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენა თანამედროვე საბაზრო სისტემაზე რამდენიმე ძირითადი ფაქტორის მეშვეობით შეიძლება გამოისახოს: ძირფესვიანად იცვლება გლობალური ბაზრის იერი და სტრუქტურა; იქმნება ახალ პრინციპებზე დაფუძნებული საწარმოო ოპერაციები, რომლებიც საინფორმაციო ნაკადების მოძრაობასთან არის დაკავშირებული;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა თვისობრივად და რაოდენობრივად შეცვალა გლობალური ბაზარი: გაზარდა მოთხოვნა ახალ, კონკურენტუნარიან პროდუქტზე, მწარმოებელთა რაოდენობის და შესაბამისად კონკურენციის გაზრდამ გამოიწვია სამიზნე აუდიტორიის შევიწროება, კონკრეტიზაცია; მომხმარებელში შეიცვალა მოხმარების მოტივაცია-უპირველესი გახდა არა საქონლის დანიშნულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, არამედ მოსალოდნელ სარგებლიანობათა ერთობლიობა-მათ შორის, მის შენაძენზე გარშემო მყოფთა აღქმადობა.
- ბაზარზე ახალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვამ ჩამოყალიბა მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რამაც აქტუალური გახდა განათლების სფეროს ტრანსფორმაცია, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა;
- საერთაშორისო პროექტების ეფექტიანად მართვისას არსებობს აუცილებლობა ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გავლენის გამოყენებისა, როგორც ეკონომიკური სექტორის მოდერნიზაციაზე, ასევე ბიზნეს-პროცესების ადაპტირებული მართვის კონცეფციაზე, ვინაიდან ყოველდღიურად ბიზნესი ზრდის წარმოებითი სექტორის რესურსების მოცულობა-მასშტაბებს და მათი გამოყენების მონაცემთა შეკრება მოითხოვს გადაწყვეტილების

მიღების დაჩქარებას, სწრაფ დამუშავებას, სადაც იკვეთება ღრუბლოვანი ტექნოლოგიის ფართო გამოყენების შესაძლებლობა.

- ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენება, მიუხედავად საქმიანობაზე მორგებული სერვისული მომსახურეობისა, არ იძლევა ყველა ინფორმაციის ერთმნიშვნელოვანი განთავსების შესაძლებლობას უსაფრთხოების მაღალი რისკიდან გამომდინარე. ღრუბელი და მისი სერვისული არეალი პროექტების შესრულების მიმდინარეობის პრიცესში, კარგი მექანიზმია დასაშვები ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია ის კიბერ უსაფრთხოების რისკები, რაც თან ახლავს გლობალ საინფორმაციო სივრცეს.
- პროექტის ეფექტიანი მმართველობითი სტრუქტურა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით პარალელურად ეფუძნება ქვეყნის მმართველობით სტრატეგიას, სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნულ დონეზე და უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, სადაც ძირითადი ინსტრუმენტებია ერთობლივი ციფრული ტექნოლოგიები და გლობალური საკომუნიკაციო საშუალებები.
- პროექტის მართვაში ფუნქციონალურად და ოპტიმალურად განაწილებულ სტრუქტურებს, როგორც მომგებიანობის, ისე სახელმწიფო სექტორის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან შესაძლებელია სახელმწიფო სექტორის ყოველდღიური მუშაობა გახდეს: რაციონალური, ხალხთან დაახლოებული და გაცილებით უფრო ეკონომიური; დაიზოგოს ფინანსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები; გაცილებით უფრო ეფექტიანი გახდეს სახელმწიფოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან, რეგიონებთან, სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს-სუბიექტებთან და ბიზნეს-სექტორთან.
- პროექტების მართვაში ის-ს ეფექტიანობასა და მისი განზოგადებული სტრუქტურის შემუშავებაზე ბევრად არის

დამოკიდებული-საქართველო თავისი ეკონომიკური მაჩვენებლებით აკმაყოფილებს თუ არა დასავლეთის ტიპის საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს.

- კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველო, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და შესაბამისად მმართველობაში მისი გამოყენების თვალსაზრისით, განვითარების დაბალ საფეხურზეა, თუმცა, ქვეყანაში განხორციელებული საერთაშორისო პროექტები და სამომავლო ბიზნეს ინტერესები საკმაოდ ძლიერ პოზიციებს იკავებენ, რასაც ხელს უწყობს ადამიანური რესურსების და მათი გონებრივი შესაძლებლობების დიდი პოტენციალი.
- ამ პოტენციალის ამოქმედება დამოკიდებულია, იმ ინტერესების დაკმაყოფილებასა და მიზნის მიღწევაზე, რაც თან ახლავს პროექტების განხორციელებას და მის მომგებიანობას, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო სექტორების დონეზე.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის მიმოხილვითი, ძირითადი შინაარსი და შედეგები განხილულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სემინარებსა და კოლოქვიუმებზე:

I სემინარი- „საკომუნიკაციო (სოციალური) ქსელები როგორც ადამიანური კაპიტალის შერჩევისა და მართვის თანამედროვე საშუალება“

II სემინარი-„საკომუნიკაციო სისტემები, როგორც საერთაშორისო პროექტების მართვის კონკურენტუნარიანობისა და მარკეტინგული უპირატესობის უზრუნველყოფის მექანიზმი“

I კოლოქვიუმი-„ინფოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ბიზნეს-პროცესების კოორდინაციის სფეროში“

II კოლოქვიუმი-„საქართველოში ბიზნეს-პროცესების სრულყოფილი განვითარების სტრატეგია, ღრუბლოვანი ტექნოლოგიების გამოყენებით“

პუბლიკაციები. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები

გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ჟურნალსა და 4 სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის:

1. „საკომუნიკაციო სისტემები, როგორც პროექტების მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების ინსტრუმენტი „ („Communication systems as a means of enhancing efficiency of project management activities“) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.19-20 მაისი. 2017 წ. თბილისი (თანაავტ. ნატალია ჭანტურია)
2. „საკომუნიკაციო სისტემების როლი პროექტების მართვაში „ („The role of communication systems in project manajement“)*“კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე”* N12, 2017 გვ.17 (თანაავტ. ნატალია ჭანტურია)
3. საკომუნიკაციო (სოციალური) ქსელები როგორც ადამიანური კაპიტალის შერჩევისა და მართვის თანამედროვე საშუალება (COMMUNICATION SOCIAL NETWORKS AS A MODERN WAY OF SELECTION AND MANAGEMENT OF HUMAN CAPITAL) (თანაავტ. ნ. ჭანტურია, მ. ბიზანიშვილი) აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენცია მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები 2017 წლის 1-28 დეკემბ. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტ.
4. „ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები საქართველოში“, რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა, 2017 წ. გვ. 6-17. (თანაავტ. ქეთევან შენგელია,)
5. „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების ძირითადი ტენდენციები საქართველოში“, „სამეცნიერო ჟურნალი, სეუ და მეცნიერება“, 2018წ. (თანაავტ ქეთევან შენგელია,)
6. “ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემური მიდგომა და მახასიათებელთა კვლევის ეტაპები საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“ თბილისი. 2018წ. გვ 16-20 (თანაავტ. მ. ქურდაძე, ნ. რამიშვილი)

7. „სამმართველო გადაწყვეტილების როლი ბიზნესის განვითარებაში“ საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018 წელი. (თანაავტ. ქეთევან შენგელია),
8. „პროექტების მართვის და ბიზნეს სფეროს ფუნქციონირების ეფექტიანობისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი და მომავალი პერსპექტივები.“ ჟურნ. სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, იანვარი, 2019 წ. (თანაავტ. ქეთევან შენგელია),
9. „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონის გავლენა ადამიანური კაპიტალის ფორმირებაზე“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 24-25 მაისი.2019.წ (თანაავტ. ნატალია ჭანტურია, ნ. მარტინენკო)